№37(38) 20.09.1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი
ფასი 40 კაპიკი
საქართველოს მენეჯერთა კავშირი

## თბილისი. 16 სექტემბერი. რესპუბლიკის მოედანი.



## საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფის „ჰელსინკი-91“

### განცხადება

ვაცხადებთ მტკიცე პროტესტს საქართველოში არსებული დიქტატორული რეჟიმის მიერ განხორციელებული ადამიანის უფლებათა დარღვევის — ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის — გიორგი ჭანტურიას, ედპ-ს პრეს მდივნის ირინა სარიშვილის და მთავარი კომიტეტის წევრის ვახტანგ ტალახაძის დაპატიმრების გამო. ისინი დააპატიმრეს პროკურორის სანქციის გარეშე. ავზი, იმ თვითმფრინავისა, რომელშიც იმყოფებოდნენ ედპ-ს წევრები, რომელსაც აფრენიდან 25 წუთის შემდეგ ებრძანა დაბრუნებულიყო და დამჯდარიყო, სავსე იყო საწვავით. ყოველივე ამით დარღვეულია მგზავრთა და ეკიპაჟის წევრთა უფლებები, ხოლო მათი სიცოცხლე დაყენებულია სასიკვდილო რისკის ქვეშ.

„ჰელსინკი-91„-ის ჯგუფი მომხდარ ფაქტს აფასებს როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევას და საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების სრულ უპასუხისმგებლობას, რომლებიც ეხლახან სიტყვიერად შეუერთდნენ ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციას და სხვა უფლებრივ აქტებს.

გ. ახალაია
ვ. გოგუაძე
გ. ყორანაშვილი
რ. მიქაბერიძე
ნ. ყაველაშვილი
ნ. ჭავჭავაძე
ლ. შაკიაშვილი

## თბილისიდან... თბილისში

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქვეყანას: 16 სექტემბერს თვითმფრინავში დააპატიმრეს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია, ამავე პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ირინა სარიშვილი და ვახტანგ ტალახაძე.

— ჩვენ მივფრინავდით მოსკოვში, № 932 რეისით — გვითხრა ვახტანგ ტალახაძემ, — ბატონი გიორგი ჭანტურია უნდა შეხვედროდა აშშ-ს ელჩს... ჩვეულებრივ გავიარეთ რეგისტრაცია, საეჭვო არაფერი შეგვიმჩნევია. 20-25 წუთი ფრენის შემდეგ სალონში ჩოჩქოლი ატყდა. სტიუარდესამ მითხრა, თბილისის აეროპორტიდან გვიბრძანეს, უკან მობრუნდითო. სტიუარდესა დავამშვიდე — ალბათ ჩვენს გამოა ყველაფერი, ნუ ნერვიულობთ-მეთქი. მიპასუხა: ავზი სავსეა ბენზინით, დაჯდომა სახიფათოაო.

მგზავრებმაც მალე შეიტყვეს, რაშიც იყო საქმე. გვითხრეს, თვითმფრინავში არავის შემოვუშვებთ, კარებში ჩვენ ჩავდგებითო. ბატონმა გიორგი ჭანტურიამ მადლობა გადაუხადა მგზავრებს, მაგრამ იქვე მოაყოლა: ეგრე არ გამოვა, პროვოკაციას მოგვიწყობენ, ვიცი მაგათი ამბავი, წინააღმდეგობის გარეშე ჩავბარდებითო...

თვითმფრინავი „ინტურისტის“ განყოფილებასთან გააჩერეს. ცოტა ხანში სალონის ყველა კარი ერთბაშად გაიღო. შემოცვივდნენ სპეცრაზმის ავტომატმომარჯვებული მუშაკები, დაახლოებით ოცდაათი კაცი. უხეშად მოგვვარდნენ, ხალხსაც არ ერიდებოდნენ... გია და ირინა შავ „ვოლგაში“ ჩასვეს და წაიყვანეს, მე კი აეროპორტის მილიციის განყოფილებაში ამოვჩნდი. ღამე იქ გავათენე, ჯერ „ხულიგნობისათვის“ 15 დღე-ღამით დაპატიმრებას მპირებდნენ, მერე მითხრეს დაგაჯარიმებთო, ბოლოს კი, მეორე დღეს, გამომიშვეს.

## პოლიტპატიმართა რიცხვი მატულობს. 18 სექტემბერს დააკავეს გიორგი ხაინდრავა

იხილეთ მე-2 გვერდი

## ევროპის ტურნირების ახალი ხანა

გუშინწინ დაიწყო ევროპული საკლუბო ტურნირების მორიგი გათამაშება. შეჯიბრებაში 128 გუნდი რჩება, და ბუნებრივია, რომ საგაზეთო ადგილის უქონლობა საშუალებას არ მოგვცემს ყველა მათგანზე მოგითხროთ.

ჩემპიონთა თასის შეხვედრები მოულოდნელობის გარეშე დამთავრდა, თუ არ ჩავთვლი ფრეებს, რომლებიც ირლანდიის „დანდალკმა“, შვეიცარიის „გრასჰოპერსმა“ და ალბანეთის „ფლამურტარიმ“ გასვლით მატჩებში თავის ძლიერ მოწინააღმდეგეებთან მიაღწიეს. 6-6 გოლი გაიტანეს „ბენფიკამ“ (4 საბჭოთა ფეხბურთელმა სერგეი იურანმა) და „არსენალმა“ (4 — ალან სმიტმა).

მეტოქის კარი 5-ჯერ აიღო ევროპის ვიცე ჩემპიონმა „მარსელმა“, (აქედან სამჯერ პაპენმა), ხოლო ოთხჯერ ჩემპიონმა „ცრვენა ზვეზდამ“ (ორი გოლი მიხაილოვიჩმა გაიტანა). ეს უკანასკნელი მატჩი უნგრეთის ქალაქ სეგედში ჩატარდა, ბელგრადის სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო.

ნეიტრალურ მოედანზე, ავსტრიის ქალაქ ლინცში ჩაატარა თასების თასის შეხვედრა — სპლიტის „ჰაიდუკმა“, ოღონდ სხვა მიზეზით — მიმდინარე ომის გამო ჰორვატიაში ფეხბურთის თამაში პრაქტიკულად შეუძლებელია. 6 გოლიდან, რომელიც „ვერდერმა“ გაიტანა, სამი ახალზელანდიელი უინტონ რუფერის ანგარიშზეა. კარგ შედეგს მიაღწია გია გურულის გკს-მ (გოლები სვეჩიკმა და გოლანმა გაიტანეს).

უეფა-ს თასზე მარცხი განიცადა კვიპროსის „ანორთოსისმა“, რომელსაც ვლადიმერ გუცაევი წვრთნის. ევროპაში დაბრუნება ინგლისის ჩემპიონმა „ლივერპულმა“ 6 გატანილი გოლით აღნიშნა (ოთხი — სანდერსი, ორი — ჰალკლინი).

საპასუხო მატჩები ორი კვირის შემდეგ გაიმართება.

### ჩემპიონთა თასი
#### მეთექვსმეტედფინალი

| | |
|---|---|
| „ბრონდბიუ“ (დანია) — „ზაგლემბე“ (პოლონეთი) | 3:0 |
| „ჰონვედი“ (უნგრეთი) — „დანდალკი“ (ირლანდია) | 1:1 |
| „უნიონი“ (ლუქსემბურგი) — „მარსელი“ (საფრანგეთი) | 0:5 |
| „სპარტა“ (ჩეხოსლოვაკეთი) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) | 1:0 |
| ჰიკ (ფინეთი) — „დინამო“ (კიევი, სსრკ) | 0:1 |
| „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ჰანზა“ (ობერლიგა, გერმანია) | 3:0 |
| „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „პორტადაუნი“ (ჩრ. ირლანდია) | 4:0 |
| „უნივერსიტატეა“ (რუმინეთი) — „აპოლონი“ (კვიპროსი) | 2:0 |
| „გიოტებორგი“ (შვეცია) — „ფლამურტარი“ (ალბანეთი) | 0:0 |
| „სამპდორია“ (იტალია) — „როზენბორგი“ (ნორვეგია) | 5:0 |
| „ჰამრუნ სპარტანსი“ (მალტა) — „ბენფიკა“ (პორტუგალია) | 0:6 |
| „არსენალი“ (ინგლისი) — „აუსტრია“ (ავსტრია) | 6:1 |
| „ბეშიქთაში“ (თურქეთი) — „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) | 1:1 |
| „ფრამი“ (ისლანდია) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) | 2:2 |
| „ანდერლეხტი“ (ბელგია) — „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) | 1:1 |
| „კაიზერსლაუტერნი“ (გერმანია) — „ეტერი“ (ბულგარეთი) | 2:0 |

### თასების თასი
#### მეთექვსმეტედფინალი

| | |
|---|---|
| „ნორჩიოპინგი“ (შვეცია) — „უენსი“ (ლუქსემბურგი) | 4:0 |
| „გლენავონი“ (ჩრ. ირლანდია) — „ილვესი“ (ფინეთი) | 3:2 |
| გკს (პოლონეთი) — „მოზერველი“ (შოტლანდია) | 2:0 |
| „სუონსი“ (უელსი) — „მონაკო“ (საფრანგეთი) | 1:2 |
| „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) — „ტოტენჰემი“ (ინგლისი) | 1:0 |
| „ოდენსე“ (დანია) — „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკეთი) | 0:2 |
| ცსკა (სსრკ) — „რომა“ (იტალია) | 1:2 |
| „ომონია“ (კვიპროსი) — „ბრიუგე“ (ბელგია) | 0:2 |
| „ვალიური“ (ისლანდია) — „სიონი“ (შვეიცარია) | 0:1 |
| „ლევსკი“ (ბულგარეთი) — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი) | 2:3 |
| „ათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) | 0:0 |
| „შტალი“ (ობერლიგა, გერმანია) — „გალათასარაი“ (თურქეთი) | 1:2 |
| „ბაკეუ“ (რუმინეთი) — „ვერდერი“ (გერმანია) | 0:6 |
| „ლა ვალეტა“ (მალტა) — „პორტუ“ (პორტუგალია) | 19.IX |
| „ფიულენგენი“ (ნორვეგია) — „ატლეტიკო“ (ესპანეთი) | 0:1 |
| „პარტიზანი“ (ალბანეთი) — „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) | 0:0 |

### უეფას თასი
#### ოცდამეთორმეტედფინალი

| | |
|---|---|
| „კორკ სიტი“ (ირლანდია) — „ბაიერნი“ (გერმანია) | 1:1 |
| „აბერდინი“ (შოტლანდია) — „ბ 1903“ (დანია) | 0:1 |
| „გენტი“ (ბელგია) — „ლოზანა“ (შვეიცარია) | 0:1 |
| „სლოვანი“ (ჩეხოსლოვაკეთი) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) | 1:2 |
| „აინტრახტი“ (გერმანია) — „სპორა“ (ლუქსემბურგი) | 6:1 |
| „შტურმი“ (ავსტრია) — „უტრეხტი“ (ჰოლანდია) | 0:1 |
| „გალე“ (ობერლიგა, გერმანია) — „ტორპედო“ (სსრკ) | 2:1 |
| „ვაც იზო“ (უნგრეთი) — „დინამო“ (მოსკოვი, სსრკ) | 1:0 |
| „მიკელი“ (ფინეთი) — „სპარტაკი“ (სსრკ) | 0:2 |
| „კანი“ (საფრანგეთი) — „შალგეიროში“ (პორტუგალია) | 19.IX |
| კრ რეიკიავიკი (ისლანდია) — „ტორინო“ (იტალია) | 19.IX |
| „შტუტგარტი“ (გერმანია) — „პეჩი“ (უნგრეთი) | 4:1 |
| „სელტიკი“ (შოტლანდია) — „ჟერმინალი“ (ბელგია) | 2:0 |
| „ლიონი“ (საფრანგეთი) — „ესტერი“ (შვეცია) | 1:0 |
| „იკასტი“ (დანია) — „ოსერი“ (საფრანგეთი) | 0:1 |
| „ბანგორ სიტი“ (ირლანდია) — „სიგმა“ (ჩეხოსლოვაკეთი) | 0:3 |
| „ლივერპული“ (ინგლისი) — „ლახტი“ (ფინეთი) | 6:1 |
| „ჰამბურგი“ (გერმანია) — „გურნიკი“ (პოლონეთი) | 1:1 |
| „აიაქსი“ (ჰოლანდია) — „ერებრუ“ (შვეცია) | 3:0 |
| „ტიროლი“ (ავსტრია) — „ტრომსე“ (ნორვეგია) | 2:1 |
| პაოკ (საბერძნეთი) — „მეხელენი“ (ბელგია) | 1:1 |
| „ანორთოსისი“ (კვიპროსი) — „სტიაუა“ (რუმინეთი) | 1:2 |
| ცსკა (ბულგარეთი) — „პარმა“ (იტალია) | 19.IX |
| „ხიხონი“ (ესპანეთი) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია) | 2:0 |
| „სპორტინგი“ (პორტუგალია) — „დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) | 1:0 |
| „გრონინგენი“ (ჰოლანდია) — „როტ ვაისი“ (ობერლიგა, გერმანია) | 0:1 |
| „ვლაზნია“ (ალბანეთი) — აეკ (საბერძნეთი) | 0:1 |
| „ოვიედო“ (ესპანეთი) — „ჯენოა“ (იტალია) | 19.IX |
| „ბოავიშტა“ (პორტუგალია) — „ინტერი“ (იტალია) | 2:1 |
| „გრადჩანსკი“ (იუგოსლავია) — „ტრაპზონსპორი“ (თურქეთი) | 2:3 |
| „ქსამაქსი“ (შვეიცარია) — „ფლორიანა“ (მალტა) | 2:0 |
| „სლავია“ (ბულგარეთი) — „ოსასუნა“ (ესპანეთი) | 1:0 |

# დაპატიმრებამდე 12 საათით ადრე

ცინიზმს საზღვარი არა აქვს.

გუშინწინ, მთავრობის სასახლის წინ გამართულ მიტინგზე, ოპერატორი გიორგი ხაინდრავა ანათემას გადასცეს: თურმე გიორგის, მართალია, 9 აპრილის ტარგედია ფირზე აღუბეჭდავს, მაგრამ მერე ხოცვა-ჟლეტის მომენტები ამოუჭრია და ისე გადაუცია მოსკოვისა და უცხოეთისთვის. ასე „გაიმართლა" თავი „ეროვნულმა" ხელისუფლებამ, რომლის ბრძანებითაც 18 სექტემბერს დაახლოებით ღამის პირველ საათზე დააპატიმრეს გიორგი ხაინდრავა.

ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, 17 სექტემბერს დღისით ჩავიწერეთ, მეორე დღეს დილით უნდა შევხვედროდით და ტექსტის საგაზეთო ვარიანტი გაგვეცნო.

გიორგი დილით უკვე საკანში იჯდა...

გთავაზობთ დაპატიმრებამდე თორმეტი საათით ადრე აღებულ ინტერვიუს.

**გიორგი, ერთ-ერთ მიტინგზე თქვენ სინანულით აღნიშნეთ, რომ ლეხაინდრაოდან თურმე წყევლა-კრულვას გითვლიან — რა უნდა, ვის ებრძვის, მაგის ადგილი მიწაშიაო... როგორ რეაგირებთ ამაზე?**

— როგორ გითხრათ, ხანდახან ძალიან მწყინს, თავს ვერ ვიკავებ, მაგრამ ვცდილობ ყურადღება არ მივაქციო... ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ჩვენი საერთო ტკივილია, საერთო უბედურებაა. იმ ადამიანებს, რომლებიც ამგვარად გამოხატავენ თავიანთ „პოზიციას", როგორც წესი, წარმოდგენა არა აქვთ რა ხდება საქართველოში, რას მოითხოვს ოპოზიცია, რატომ ვუპირისპირდებით ხელისუფლებას, რისთვის ვიბრძვით. ცხადია, მე ეს არ მიკვირს. ეს არის შედეგი სამოცდაათწლიანი კომუნისტური ბატონობისა, როცა ხალხს არავინ არაფერს არ ეკითხებოდა, ჩვენს მაგივრად სხვა ფიქრობდა და „ზრუნავდა". ადამიანებს ეპყრობოდნენ არა როგორც პიროვნებას, არამედ ნივთს. ამას, ცხადია, ღრმა ფესვები აქვს და ვიდრე მონობის სინდრომისაგან საბოლოოდ თავს დავიხსნიდეთ, კიდევ ბევრი დრო დაგვჭირდება. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ეგრეთწოდებული ეროვნული მთავრობის მოსვლის შემდეგ ფაქტობრივად ნაბიჯი არ გადადგმულა დემოკრატიზაციის, თავისუფალი აზრის დამკვიდრების მიმართულებით. პირიქით, რაც დღეს საქართველოში ხდება, ეს არის ტოტალიტარული სისტემის განმტკიცების, ვიწროპარტიული აზრის ბატონობის, პრეზიდენტის ინსტიტუტის დაწესების შემდეგ — ერთპიროვნული დიქტატორული მმართველობის დამკვიდრების მცდელობა. ამას ოპოზიცია ვერ შეურიგდება.

**— მაგრამ ხელისუფლება აცხადებს, რომ ხალხის მიერ არის არჩეული და მოსახლეობის უმრავლესობის ნებას გამოხატავს.**

— გეთანხმებით, შარშან ოქტომბერში ხალხმა აირჩია უზენაესი საბჭო, ხმა მისცა „მრგვალ მაგიდას", რომლის სპიკერიც ბატონი ზვიად გამსახურდია იყო. მოგვიანებით ბატონმა ზვიადმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა პრეზიდენტის არჩევნებშიც. ეს უდავოა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „მრგვალმა მაგიდამ" პროგრამიდან გადაუხვია და საბჭოური ტოტალიტარული სტრუქტურების განმტკიცებას შეუდგა. ერთს შეგვპირდა, მეორეს აკეთებს. ამგვარი პოლიტიკური ავანტიურა, როგორც წესი, კრახით მთავრდება. დღევანდელი ხელისუფლების ყველაზე დიდი დანაშაული მაინც ის არის, რომ საქართველო გაითიშა, კუთხე კუთხეს დაუპირისპირდა, ქართველი — ქართველს, ქალი — კაცს. საბოლოოდ, ბარიკადის ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები, მეორე მხარეს კი კერპთაყვანისმცემლები. გამსახურდია გაწაფულია ამ საქმეში, მთელი მისი პოლიტიკა „გათიშე-იბატონეს" პრინციპზეა აგებული. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით მმართველი ბლოკი — „მრგვალი მაგიდა", შეიძლება ითქვას, დაიშალა და ამაში მოულოდნელი არაფერია... ყველაფერს გამსახურდიას ნუ გადავაბრალებთ. კულტს, ბელადს უწინარესად ხალხი ქმნის. ზვიადი რომ არ ყოფილიყო, სხვა „ბელადს" გამოვიგონებდით. მაგრამ ისტორიამ ჭკუაც უნდა გვასწავლოს.

**— ზემოთ თქვენ გათიშულობა ახსენეთ. კინკლაობა-დაპირისპირება ოპოზიციური ძალებისთვისაც არ არის უცხო.**

— ეს საერთო მოვლენაა. თაობამ, რომელიც დღეს ეროვნულ მოძრაობაშია ჩაბმული, ბევრ კარგ საქმესთან ერთად ისიც მოახერხა, რომ შუღლი ჩამოაგდო ცალკეულ პოლიტიკურ კავშირებსა და პარტიებს შორის. ბატონი მერაბ კოსტავა ამბობდა: ჩვენ მხოლოდ დიდი გაჭირვების ჟამს ვერთიანდებითო, ყველას მოუწოდებდა შემწყნარებლობისაკენ. დღეს, როგორც ხედავთ, საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია და ორგანიზაცია ერთი მოთხოვნით გამოდის: გადადგეს ზვიად გამსახურდია, გაუქმდეს პრეზიდენტის ინსტიტუტი.

**— თქვენ პროფესიონალი ოპერატორი ხართ. როგორ აღმოჩნდით იმ ადამიანთა სიაში, რომელებსაც ხელისუფლება დაპატიმრებით ემუქრება...**

— ისე მოხდა, რომ პროფესიული საქმის პარალელურად პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ჩავერთე. არც ერთ პარტიაში არ შევსულვარ, მაგრამ ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის წევრად ამირჩიეს. დღევანდელი ხელისუფლების მიმართ გამოკვეთილი, რადიკალური პოზიცია მიჭირავს და ალბათ ამიტომ მთვლიან საშიშ კაცად თანაც, არ დაგავიწყდეთ, არაერთი მამხილებელი მასალა დამიგროვდა.

**— მათ შორის ალბათ, ორი სექტემბრის ამბების ამსახველ კადრებსაც გულისხმობთ...**

— ჯერ სხვას ვიტყვი: მთავრობას, რომელიც თავის ხალხს ტყვიას დაუშენს, მორალური უფლება არა აქვს დარჩეს ხელისუფლების სათავეში. ორ სექტემბერს კინოს სახლთან გადაღებული ფირი იმავე საღამოს მივიტანეთ საქართველოს ტელევიზიაში, მაგრამ დღემდე არ გასულა ეთერში. სხვას არც მოველოდი: ტელევიზიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცრუობს. ბოლო დროს ერთი უცნაური ამბავი ხდება: ჩვენს მიერ ტელევიზიაში მიტანილი კასეტები „ეთერში გასვლის წინ" უგზოუკვლოდ იკარგება... ხელისუფლებას ეშინია სიმართლის და ყველა ღონეს ხმარობს, რომ ოპოზიციას ხალხთან მისასვლელი გზები ჩაუხერგოს. არ გამოვა — ასეთი მთავრობა განწირულია მარცხისათვის.

მთავრობა, რომელიც მშვიდობიან მიტინგს „დუბინკებითა" და ტყვიით არბევს, უთუოდ დაემხობა. დემოკრატიული ოპოზიცია უკან დახევას არ აპირებს.

**— მთავრობაც გააქტიურდა. უკვე აპატიმრებენ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს...**

— დაპატიმრებაც არის და დაპატიმრებაც. ბენზინით სავსე ავზიანი თვითმფრინავი ოც წუთში უკან მოაბრუნეს და საფრთხეში ჩააგდეს ორასამდე ადამიანის სიცოცხლე. ეს უკვე აგონიაა. ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები, როგორც ბოლო დღეების ამბებით დასტურდება, მზად არიან ახალი „სიურპრიზებისათვის". პრეზიდენტის ყველა გამოსვლა მიტინგზე, სამოქალაქო ომისკენ მოწოდებაა.

**— ადრე ზვიად გამსახურდია ეროვნული ერთიანობის სიმბოლოდ აღიქმებოდა, ხალხის დიდი ნაწილი დღესაც მხარს უჭერს...**

— ბატონმა ზვიადმა და მისმა თანამზრახველებმა ბევრი გააკეთეს ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებისათვის. ამის უარყოფა უმადურობა იქნებოდა. ამაგი არავის არ უნდა დავუკარგოთ. სამოცდაათიანი წლების გახმაურებული ამბების შემდეგ, ჩემი აზრით, ზვიად გამსახურდია პიროვნულად გატყდა, სულიერმა კრიზისმა არსებითად შეცვალა მისი ცხოვრების წესი, პოლიტიკური მრწამსი. იმ მომენტიდან, როცა მე ზვიად გამსახურდიას ვიცნობ, ჩემი ღრმა რწმენით, მისი ერთადერთი მიზანი ხელისუფლების სათავეში მოსვლა, ძალაუფლების ხელში ჩაგდება იყო. ეს უამრავი ფაქტით დასტურდება არადა ხშირად უთქვამს, რომ მისი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა და არა პირველკაცობა საქართველოში.

**— დღეს ოფიციალურ პირთაგან ხშირად გაიგონებთ: ჯერ საქართველო გავანთავისუფლოთ, დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ და დემოკრატიას მერე მივხედოთო...**

— ეს არის აბსურდული, დემაგოგიური განცხადება. ვიდრე საქართველოში დემოკრატიისკენ სერიოზული ნაბიჯები არ გადაიდგმება, დასავლეთი არ ცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას. ცივილიზებული სამყარო თავის რიგებში ვერ მიიღებს ტოტალიტარულ-დიქტატორულ სახელმწიფოს. ამის იმედი ნუ გვექნება. მეორეც: თუ ადამიანი პიროვნულად არ განთავისუფლდა, საზოგადოებაც ვერ იქნება თავისუფალი. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა.

**— რას შეიძლება ველოდოთ უახლოეს დღეებში?**

— ზემოთ უკვე ვთქვი: ოპოზიცია უკან დახევას არ აპირებს. თუ ინფორმაციული ბლოკადის გარღვევა მოვახერხეთ, დარწმუნებული ვარ, მხარდამჭერთა რიცხვი ერთიორად გაიზრდება.

მომავალი დემოკრატიას ეკუთვნის. ცხადია, ახალ ექსცესებს არ გამოვრიცხავ, მაგრამ ვფიქრობ, საბედისწერო კონფლიქტამდე არ მივა საქმე.

ესაუბრნენ ელგუჯა ბერიშვილი,
ზურაბ ფოცხვერია.



გიორგი ხაინდრავა დიდი ხანია ყველაზე ცხელ წერტილებში მუშაობს — ფირზე აღბეჭდავს ისტორიას — და არა მარტო საქართველოში. სულ ცოტა ხნის წინ სასახელო მამულიშვილს საკადრის პატივს მიაგებდნენ, დღეს კი სწორედ ამისთვის დააპატიმრეს!

გია ახალაძის ფოტო

**რედაქციისგან: ამ ინტერვიუდან ნათლად ჩანს, რომ გიორგი ხაინდრავა რადიკალურ ოპოზიციონერთა რიცხვს განეკუთვნება. იგი არ არის სისხლის სამართლის დამნაშავე და მისი დაპატიმრება ერთმნიშვნელოვნად უნდა განვიხილოთ როგორც ხელისუფლებისთვის არასასურველი სუბიექტის იზოლაციის ფაქტი. ეს კი ადამიანის ელემენტარულ უფლებათა უხეში დარღვევა და, შესაბამისად, დემოკრატიის პრინციპების აშკარა უგულვებელყოფაა. ძალაუნებურად გვიჩნდება კითხვა: ვინ იქნება შემდეგი?**



გია ახალაძის ფოტო

## ფაქტი უკომენტაროდ

გაზეთ „შანსის" 1991 წლის 11 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა საქართველოს ჟურნალისტთა ჯგუფის მიმართვა კოლეგებისადმი (რესპუბლიკაში შექმნილ კრიზისულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით აუცილებლად მივიჩნიეთ ჟურნალისტთა საგანგებო ყრილობის სასწრაფოდ მოწვევა). ორი დღის შემდეგ, 13 სექტემბერს იგივე მიმართვა „სარბიელშიც" გამოქვეყნდა. ამჯერად ხელმომწერ ჟურნალისტთა შორის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ხელმძღვანელ მუშაკთა გვარებიც გამოჩნდა. ამ გაზეთის რედაქტორმა ბატონმა მამუკა ფაჩუაშვილმა პირობა მოგვცა, რომ მიმართვას თავის გაზეთშიც დაბეჭდავდა. „საქართველოს რესპუბლიკამ" 14 სექტემბერს მიმართვის „ნაცვლად" გამოაქვეყნა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის პასუხი-განმარტება(?!).

რა დავარქვათ ამას?

ელგუჯა ბერიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ შემიძლია „მოხუცი" ვიყო

**31 წლის ვაჟა ჟვანია კვლავ მინდორზეა. არადა მას ბოლო ხანს თბილისის „შევარდენი-06"-ის ტექნიკურ დირექტორად და ქართული ფეხბურთის ახალგაზრდა ვეტერანად ვიცნობდით. „ცხუმის" წინააღმდეგ მისი „იბერიას" ძირითად შემადგენლობაში გამოჩენა მოულოდნელი იყო.**

— ვარჯიში ერთი დღითაც არ შემიწყვეტია — თქვა ვაჟამ. მოედანზე ფეხბურთის დიდმა სიყვარულმა დამაბრუნა. ამას ისიც დაერთო, რომ საბერძნეთიდან მოწვევა მივიღე, თუმცა კონკრეტული გუნდი ჯერ ცნობილი არ არის.

**— ეხე იგი „იბერია" იმიტომ აირჩიეთ, რომ მას ფეხბურთელების გაცვლის უფლება აქვს?**

— არა მხოლოდ მაგ მიზეზით, მოგეხსენებათ მეათეკლასელს პირველ კლასში ველარ დასვამ.

**— ერთ ხანს გულშემატკივრის თვალს მოეფარეთ...**

— ბათუმსა და თბილისის „შევარდენში" თამაშის შემდეგ, ჰოლანდიის ქალაქ ჰერენვეენის იმავე სახელწოდების გუნდში გადავედი მერაბ ჟორდანიასთან ერთად. სამწუხაროდ, ჰოლანდიის სოცუზრუნველყოფის მინისტრმა არ გვადროვა, აქაოდა სსრკ-დან ხართ და პრეცედენტი რომ დავუშვა, სოციალისტური ქვეყნების ფეხბურთელები ·წაგვლეკავენო. ჩვენ წამოვედით, დღეს კი იქ სამი რუმინელი თამაშობს. გული დაგვწყდა, რადგან ჯერ ერთი, ჰოლანდიის ლიგაში ვთამაშობდით და მეორეც, როგორც გაირკვა, კლუბს ძვირად ვუღირდით. ჩვენი ხელფასი 6000 გულდენი იყო, დანარჩენ ფეხბურთელებს შორის ყველაზე შემოსავლიანისა კი 2500.

**— რამდენიმე წლის წინ თქვენ „დინამო" დატოვეთ, დღეს კი „იბერიაში" დაბრუნდით. სახელის გარდა რა დაგხვდათ გამოცვლილი?**

— დამხვდა ძალიან ახალგაზრდა, პერსპექტიული გუნდი და გარკვეულწილად დაცემული კლასი. სსრკ ჩემპიონატი, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე რთულია. იქ მეტოქე ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევდა, ცდილობდა ფიზიკური მომზადებით დავეჯაბნეთ და არც „ბინძურ" ილეთებს თაკილობდა, ჩვენ კი ყოველივე ეს უნდა დაგვეძლია.

**— დღეს კვლავ მინდორზე ხართ. საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩით?**

— დიახ, კმაყოფილი ვარ, რადგან სიტყვა „მოხუცს" ვერ ვიტან, ვეტერანის როლში ყოფნას ვერ შევეგუები. დღეს ისეთი გრძნობა მქონდა თითქოს ჩემი დებიუტი იყო.

ესაუბრა
ილია ბაბუნაშვილი.

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს პირველივე გათამაშებიდან ჰყავს გამოკვეთილი ლიდერები, რომლებიც თავიანთი ოსტატობით უდავოდ გამოირჩევიან და მუდამ მაღალი ადგილებისათვის იბრძვიან. მათ რიგებს ბათუმის „ბათუმიც" მიეკუთვნება, რომელმაც საკუთარი, ყველასაგან განსხვავებული სათამაშო სტილით თავი დაამახსოვრა ფეხბურთის მოყვარულებს. გუნდმა პირველ ჩემპიონატში მეექვსე ადგილი დაიკავა, მეორეში — მეხუთე (თუმცა მეტის მიღწევაც შეეძლო), მესამე გათამაშებაში კი გუნდმა პირველ 6 მატჩში ვერც ერთის მოგება ვერ შეძლო და აუტსაიდერთა შორის აღმოჩნდა. წარუმატებლობა შეშფოთებას იწვევს, ამიტომ შევეცადეთ გაგვერკვია უფერული სტარტის მიზეზები და გავესაუბრეთ გუნდის მწვრთნელს ვალერი მაჩხელიანს:

## აუტსაიდერთა ოპტიმიზმი

ეროვნული ჩემპიონატის გასულ ორ გათამაშებაში ჩვენი გუნდი ერთ-ერთი წამყვანი კოლექტივი გახლდათ, რომელმაც საკმაოდ სტაბილურად ჩაატარა თამაშები და შესაბამისად მაღალი ადგილები დაიკავა. შემადგენლობაში ბევრი ახალგაზრდაა და ისინი რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელთან ერთად იმ ძალას ქმნიან, რომლის დაძლევაც იოლი არ არის.

ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ საგაზაფხულო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, სადაც „ბათუმმა", რომელიც აშკარა კანდიდატი იყო საპრიზო ადგილისა, მოულოდნელად ზედიზედ წააგო გადამწყვეტი მატჩები და საბოლოოდ მე-5 ადგილს დასჯერდა. დაწყებული ამ პერიოდიდან, გუნდის აწყობილი მექანიზმი ერთგვარად მოიშალა. ამას დაემატა ისიც, რომ წინა გათამაშების ბოლო ტურებში, წამყვანმა ფეხბურთელებმა უდისციპლინო საქციელისათვის სფფ-ს მკაცრი სასჯელი დაიმსახურეს, რაც მათ მიმდინარე ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას არ აძლევს. არა და გია ზედანია, მალხაზ მახარაძე და გელა შეყილაძე ის გამოცდილი სპორტსმენები არიან, რომლებიც თუ შეიძლება ითქვას, გამწევ ძალას წარმოადგენენ.

ასეთი დანაკლისით და ცოტაოდენ ქაოსურ პირობებში მოგვიხდა ახალი სტარტის აღება. მთელი დატვირთვა ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გადავიდა. ბიჭებს ენერგია არ დაუზოგავთ, მაგრამ პასუხისმგებლობამ მაინც იმოქმედა, როგორც თამაშის ხარისხზე, ასევე შედეგზეც.

გუნდიდან წავიდა ორი ფეხბურთელი. გიორგი მჭედლიშვილი გორის დილაში გადავიდა, ხოლო სოსო ნასუაშვილი — ზესტაფონის მარგვეთში.

კლუბში ჩავრიცხეთ პაატა მაჭუტაძე — ოზურგეთის მერცხლიდან და რამდენიმე ადგილობრივი ნიჭიერი ფეხბურთელი: ლევან ხომერიკი, ავთანდილ ღლონტი, ამირან მუჯირი, ბესო კობალაძე და გელა მელია. ვფიქრობ, თითოეულმა ინტენსიური წვრთნის შემთხვევაში დიდი ფეხბურთი უნდა ითამაშოს. რაც შეეხება ბათუმის „ბათუმს", მჯერა, ეროვნულ ჩემპიონატში არ შეირცხვენს თავს და სულ მოკლე დროში გამოასწორებს მდგომარეობას.

ჩაიწერა სანდრო თავაძემ.

### ეროვნული ჩემპიონატი
VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| მრეტები — კოლხეთი-13 | 3:1 | ბათუმი — ქუთაისი | 0:4 |
| ოდიში — იბერია | 1:0 | ცხუმი — გურია | 6:0 |
| გორდა — სამტრედია | 2:1 | მარგვეთი — ამირანი | 2:1 |
| ალაზანი — სულორი | 1:0 | სამგურალი — შევარდენი-06 | 2:0 |
| დილა — კოლხეთი | 3:2 | მერცხალი — მზიური | 2:0 |

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გორდა | 7 | 6 | 1 | 0 | 19:5 | 19 |
| 2. ცხუმი | 7 | 6 | 0 | 1 | 23:10 | 18 |
| 3. ოდიში | 7 | 6 | 0 | 1 | 12:6 | 18 |
| 4. იბერია | 7 | 5 | 0 | 2 | 16:6 | 16 |
| 5. მრეტები | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| 6. გურია | 7 | 4 | 0 | 3 | 17:12 | 12 |
| 7. სამგურალი | 7 | 4 | 0 | 3 | 10:11 | 12 |
| 8. მზიური | 7 | 4 | 0 | 3 | 8:10 | 12 |
| 9. კოლხეთი-13 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:7 | 11 |
| 10. ქუთაისი | 7 | 3 | 1 | 3 | 13:12 | 10 |
| 11. ალაზანი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:10 | 10 |
| 12. დილა | 7 | 3 | 0 | 4 | 9:10 | 9 |
| 13. მარგვეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:12 | 8 |
| 14. შევარდენი-06 | 7 | 2 | 1 | 4 | 10:11 | 7 |
| 15. სამტრედია | 6 | 2 | 0 | 4 | 12:13 | 6 |
| 16. კოლხეთი | 7 | 1 | 3 | 3 | 9:13 | 6 |
| 17. მერცხალი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | 5 |
| 18. სულორი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:16 | 4 |
| 19. ამირანი | 7 | 1 | 0 | 6 | 4:16 | 3 |
| 20. ბათუმი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:16 | 1 |

## ტექნიკური შედეგები

### სპორტული ტანვარჯიში

მსოფლიო ჩემპიონატი. ინდიანაპოლისი (აშშ). გუნდური. ქალები. 1. სსრკ — 396,055; 2. აშშ — 394,116; 3. რუმინეთი — 393,841. ვაჟები. 1. სსრკ — 584,425; 2. ჩინეთი — 577,050; 3. გერმანია — 576,125. მრავალჭიდი. ვაჟები. 1. გრიგორი მისიუტინი — 59,050; 2. ვიტალი შჩერბო — 58,950; 3. ვალერი ლიუკინი (ყველა — სსრკ) — 58,500. ქალები. 1. კიმ ზმესკალი (აშშ) — 39,849; 2. სვეტლანა ბოგინსკაია (სსრკ) — 39,736; 3. კრისტინა ბონტაში (რუმინეთი) — 39,711. ცალკეული იარაღები. ვაჟები. რგოლები. 1. გ. მისიუტინი. 9.875; 2. ანდრეას ვეკერი (გერმანია) — 9,862; 3. იური ჩეჩი (იტალია) — 9,837. თავისუფალი ვარჯიში. 1. იგორ კორობჩინსკი — 9,875; 2. ვიტალი შჩერბო (ორივე - სსრკ) — 9,800; 3. დაისუკე ნიშიკავა (იაპონია) — 9,787. ტაიჭი. 1. ვალერი ბელენკი (სსრკ) — 9,912; 2. გო ლინიაო (ჩინეთი) — 9,887; 3. ლი ცზინი (ჩინეთი)— 9,875. ხტომები. 1. იუ ოკ იული (კორეა) — 9,700; 2. ვიტალი შჩერბო — 9,699; 3. იუტაკა აიხარა (იაპონია) — 9,631. ორძელი. 1. ლი ლი (ჩინეთი) — 9,862; 2. იგორ კორობჩინსკი — 9,825; 3. გო ლინიაო — 8,812. ლერძი. 1—2. ლი ცზინი და რალფ ბიუპნერი (გერმანია) — 9,787; 3. ვიტალი შჩერბო — 9,775. ქალები. ხტომები. 1. ლავინია მილოსოვიჩი (რუმინეთი) — 8,949; 2. გენრიეტა ონოდი (უნგრეთი) — 9,912; 3. ოქსანა ჩუსოვიტინა (სსრკ) — 9,912. ორძელი. 1. კიმ გვან სუკი (კორეა) — 10; 2—3. ტატიანა გუცუ — (სსრკ) და შენონ მილერი (აშშ) — 9,950. დელი. 1. სვეტლანა ბოგინსკაია — 9.962; 2. ტატიანა გუცუ — 9,950; 3—4. პეტი ოკინო (აშშ) და ლავინია მილოსოვიჩი — 9,900. თავისუფალი ვარჯიში. 1—2. ოქსანა ჩუსოვიტინა და კრისტინა ბონტაში — 9,962; 3. კიმ ზმესკალი (აშშ) — 9,950.

### ჰოკეი

„კანადის თასი". ნახევარფინალი. კანადა — შვეცია — 4:0 (0:0, 2:0, 2:0). ფინალი. კანადა — აშშ — 4:1 (1:0, 1:1, 2:0) და 4:2 (2:0, 0:2, 2:0).

### ფრენბურთი

ევროპის ჩემპიონატი. გერმანია. ვაჟები. კარლსრუე. „ა" ჯგუფი. მეოთხე ტური. სსრკ — საბერძნეთი — 3:1 (10:15, 15:9, 15:2, 15:6); პოლონეთი — გერმანია — 3:2 (10:15, 15:7, 16:14, 10:15, 17:15); ფინეთი — შვეცია — 3:2 (12:15, 6:15, 15:11, 15:8, 16:4). მეხუთე ტური. შვეცია — საბერძნეთი — 3:0 (16:14, 15:7, 15:7), პოლონეთი — ფინეთი — 3:2 (15:9, 15:11, 9:15, 15:17, 15:10), სსრკ — გერმანია — 3:0 (15:13, 15:11, 15:13). 1. სსრკ — 5 მოგება; 2. გერმანია — 3; 3. პოლონეთი — 3; 4. ფინეთი — 2; 5. შვეცია — 1; 6. საბერძნეთი — 1. ჰამბურგი. „ბ" ჯგუფი. მეოთხე ტური. იტალია — იუგოსლავია — 3:1 (15:17, 15:6, 17:15, 15:10); ჰოლანდია — ჩეხოსლოვაკეთი — 3:0 (15:11, 15:6, 15:9); საფრანგეთი — ბულგარეთი — 3:1 (16:14, 15:11, 14:16, 15:11). მეხუთე ტური. ჰოლანდია— საფრანგეთი — 3:0 (15:4, 15:1, 15:6); იუგოსლავია — ჩეხოსლოვაკეთი — 3:1 (15:13, 7:15, 15:10, 15:6); იტალია — ბულგარეთი — 3:2 (7:15, 7:15, 15:12, 15:10, 15:13). 1. იტალია — 5; 2. ჰოლანდია — 4; 3. ბულგარეთი — 2; 4. იუგოსლავია — 2; 5. საფრანგეთი — 2; 6. ჩეხოსლოვაკეთი — 0. ნახევარფინალი, სსრკ — ჰოლანდია — 3:0 (15:8, 15:8, 15:8); იტალია — გერმანია — 3:1 (15:12, 15:4, 11:15, 15:6). მატჩი მესამე ადგილისათვის. ჰოლანდია — გერმანია — 3:0 (15:11, 15:9, 15:1). ფინალი. სსრკ — იტალია — 3:0 (15:11, 17:16, 15:9).

# უკრაინა: ჩვენს ჩემპიონატს ვატარებთ!

კიევში გაიმართა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელზეც დამოუკიდებელი ეროვნული პირველობის სტრუქტურის პროექტები განიხილეს. საერთო-სახალხო რეფერენდუმიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 13-14 დეკემბერს (რეფერენდუმზე რესპუბლიკის ბედი გადაწყდება), შედგება ფედერაციის საბჭოს პლენუმი, რომელიც ჩემპიონატის თაობაზე საბოლოო სიტყვას იტყვის.

— მაგრამ დღესვე შეიძლება სრული დარწმუნებით ითქვას: მომავალი წლიდან უკრაინა დატოვებს საკავშირო ჩემპიონატს და თავის სუვერენულ პირველობას ჩაატარებს — მოვლენებს ასეთ კომენტარს უკეთებს უკრაინის „სპორტივნაია გაზეტას" საფეხბურთო მიმომხილველი იური კარმანი. იგი ამბობს: — იმ ხალხმაც კი, რომლებიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობისათვის ყველაფერს აკეთებდნენ, დღეს გაიგეს, რომ მათი იმედები გაცრუვდა. ეჭვგარეშეა, რომ უკრაინა დამოუკიდებლობას გამოაცხადებს, მაშ უცხო ქვეყნის ჩემპიონატში რაღა დაგვრჩენია?

ახლა რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია დღედაღამ შრომობს, რათა შეამზადოს უეფა-სა და ფიფა-ში წარსადგენი დოკუმენტები. საქართველოში კარგად უწყიან თუ რა ტლანქია ეს ორი ორგანიზაცია, მაგრამ გვჯერა, რომ ჩვენი ფეხბურთი მიაღწევს სუვერენიტეტს. სუვერენიტეტს მიაღწევს ქართული ფეხბურთიც. შორს არ არის ის დღე, როდესაც ქართველი და უკრაინელი ფეხბურთელების ოცნება ახდება — ისინი ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან მინდორზე, ოღონდ უკვე სულ სხვა რანგში.

კიევში დარეკა მიხეილ ვიგნანსკიმ.



# სეზონის გახსნა

გუშინწინ საქართველოს 25-ე ჩემპიონატი დაიწყო, რომელიც ახლებურად, შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით ჩატარდება. ორივე ჯგუფში ყველაფერს ორწრიანი ტურნირი გამოარკვევს. მეორე ჯგუფის (რომელიც იმერ-ამერის ლიგების გაერთიანებით შეიქმნა) ორი გამარჯვებული გაისად პირველი ჯგუფის ორ „მაჩანჩალას" შეენაცვლება.

სეზონი კი შაბათს, ტრადიციულ სამეიდკაცო შეჯიბრით გაიხსნა, რომელიც ამჯერად ვაკის ნაცვლად ვარკეთილში ჩატარდა და თუმცა გუნდების ნახევარზე მეტი, თანაც შარშანდელი გამარჯვებული, ქუთაისის „აიაც" მოისაკლისა, საინტერესოდ ჩაიარა. ფინალამდე თბილისის „ვესტას" ორმა შემადგენლობამ არცთუ იოლი ბრძოლები გადაიხადა: ჯერ „რუსთავთან" და „უნივერსიტეტთან", ხოლო ნახევარფინალში — „შევარდენთან" და „ყოჩებთან", გადამწყვეტ შეხვედრაში კი ალეკო ლიბრაძემ, გია გიუნაშვილმა, თემურ ნარიმანიძემ, იგორ ქერაულმა, დათო ჩაჩლეიშვილმა, თენგიზ თავაძემ, ვანო საცერაძემ და შემცვლელებმა, თამაზ ხუადემ და ნუკრი ზვიდელიძემ უფრო ჯანიან და ფეხმარდ თანაგუნდელებს ბურთაობაში აჯობეს — 19:16. მესამე ადგილისათვის „ყოჩებმა" სძლიეს „შევარდენი" — 7:0.

სამი დღის შემდეგ, საჩემპიონატო თამაშში, უკვე „შევარდენმა" გაიმარჯვა — 17:10. „მიმინოდან" თავიანთ გუნდში დაბრუნებულებმა, ნუგზარ მგელაძემ, ზურაბ ზოიძემ და დემირ ძნელაძემ იქედან სულხან სულხანიშვილი „წამოჰყოლიეს" და ამათგან პირველმა ორმა დაბრუნება „ყოჩებთან" მატჩში ლელოს გატანით აღნიშნა.

თამაშის დიდი ნაწილი გაუთავებელმა ფეხით დარტყმებმა და მორკინალთა ჭიდილმა წაიღო. გადამწყვეტი „შევარდენის" მოთამაშეთა, განსაკუთრებით კი შალვა ჯანელიძის(9) ინდივიდუალური ოსტატობა აღმოჩნდა. სამი ლელოს გაშვების შემდეგ, მართალია, „ყოჩების" მორკინალებმა იძალეს, მაგრამ მათ მოპოვებულ ბურთებს სამეოთხედელები ისე ცუდად ათამაშებდნენ, რომ შერკინების ნახევარმცველს, ირაკლი გიორხელიძეს ბოლოს ისღა დარჩა, თავად შეეტია და ერთი ლელოს გატანაც შეძლო.

მეორე ტურში ითამაშებენ 25 სექტემბერს: იმერეთი — აია, ყოჩები — გელათი, რუსთავი — შევარდენი; 26 სექტემბერს: მიმინო — ვესტა, აკადემია — ჯანი.

შაბათ-კვირას კი მეორე ჯგუფის ტურნირი იწყება. შაბათს თამაშობენ: სამედიცინო — მეორე შევარდენი, აიეტი — ბუბა, ქორები — გელათის სკოლა; კვირას — უნივერსიტეტი — ივერია, ლილე — რაში.

მამუკა ჩიხლაძე

**პირველი ჯგუფი**
„აია (ქუთაისი) — მწვრთნელები: დუგლას კავთელაშვილი, ვახტანგ შვანგირაძე
„ვესტა" (თბილისი) — თემურ ბენდიაშვილი, გაიოზ მონიავა
„გელათი" (ქუთაისი) — რამაზ სვანიძე, ავთანდილ იობიძე
„შევარდენი" (აგრარული უნივერსიტეტი) — რამაზ სანებლიძე, ვახტანგ კაპანაძე
„ყოჩები" (ტექნიკური უნივერსიტეტი) — ლაშა გეგენავა, მალხაზ ჭეიშვილი
„მიმინო" (თბილისი) — რევაზ ჩხეიძე, გია კურატიშვილი
„იმერეთი" (ჭიათურა) — მურად შევლაშვილი
სამხატვრო აკადემია — პაატა ნარიმანაშვილი, გია ღლონტი
„ჯანი" (ჩოხატაური) — ავთანდილ გიორგაძე
„რუსთავი-1990" — ალექსანდრე ლობჟანიძე, თემურ ქერტყოევი
**მეორე ჯგუფი**
„რაში" (ზოოვეტინსტიტუტი) — თემურ ცინცაძე, ალექსანდრე გიგინეიშვილი
„უნივერსიტეტი" (თბილისი) — გიორგი სურმავა
სამედიცინო ინსტიტუტი — მიხეილ ბურძგლა, მიხეილ რობიტაშვილი
„ქორები" (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — ლევან მგელაძე
„ივერია" (თბილისი) — ემზარ სულაქველიძე, ნუგზარ გაბრიჩიძე
„მეორე შევარდენი" — აკაკი ჭანკოტაძე, გია შანშიაშვილი
„აიეტი" (ქუთაისის უნივერსიტეტი) — ბორის ზიშხიბაძე, ამირან შავგულიძე
„გელათის სკოლა" (ქუთაისი) — დიმიტრი ფულარია
„სათაფლია" (წყალტუბო) — ოთარ ნუცუბიძე
„ლილე" (ლენტეხი) — ტარიელ ზურაბიანი
„ბუბა" (ონი) — ვაჟა რაზმაძე

## XIII ეტაპი (22 სექტემბერი)
### პორტუგალია




1990 — ნაიჯელ მენსელი
1989 — გერჰარდ ბერგერი
1988 — ალენ პროსტი
1987 — ალენ პროსტი
1986 — ნაიჯელ მენსელი

რამდენიმე სხვა ქვეყნის მსგავსად, პორტუგალიას ფორმულა 1-ის არც პილოტი ყავს და ვერც მანქანა შეუქმნია. მიუხედავად ამისა, 1984 წლიდან რეგულარულად ატარებს მსოფლიო ჩემპიონატების ეტაპს. საამისოდ საკმაოდ „მშვიდი," გლუვი კონფიგურაციის ტრასაა მოწყობილი „ეშტორილის" სახელწოდებით. 4350 მ სიგრძის წრე ჩქაროსნულებს არ განეკუთვნება — რბოლის საშუალო სიჩქარემ ვერ იქნა და ვერ მიაღწია 200 კმ/სთ-ს. შარშან, ერთ წრეზე „ეშტორილისათვის" სარეკორდო სიჩქარე განავითარა ფორმულის ყველაზე სტაჟიანმა პილოტმა, იტალიელმა რიკარდო პატრეზემ „უილიამსით" — 199,985 კმ/სთ.

სულ რბოლისას მძღოლებს 71 წრის გავლა უხდებათ, რაც 308,85 კმ-ს შეადგენს.




7 წლის წინ პორტუგალიის პირველი „გრან პრი" ფრანგმა ალენ პროსტმა (მაკლარენი) მოიგო, თუმცა ჩემპიონობისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და პირველობა მისმა თანაგუნდელმა, ავსტრიელმა ნიკი ლაუდამ მოიპოვა, რომელმაც სულ რაღაც ნახევარი ქულით აჯობა მეტოქეს.

საინტერესო ფაქტია: ის პილოტი, რომელიც „ეშტორილზე" იმარჯვებს, როგორც წესი, იმ წელს მსოფლიო ჩემპიონი ვერ ხდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1985 წელს სწორედ ამ ტრასაზე მოიგო თავისი პირველი დიდი პრიზი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა და წლევანდელი გათამაშების ლიდერმა ბრაზილიელმა აირტონ სენამ.

# შეხვედრა შორეულ მანილაში



მაია ჩიბურდანიძე (საქართველო)
დაიბადა 17.01.1961. საერთაშორისო დიდოსტატი (1977), მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1978, 1981, 1984, 1986, 1988). ექიმი.

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში 25 სექტემბერს დაიწყება მსოფლიო პირველობის მატჩი მაია ჩიბურდანიძესა და სე ჯუნს შორის.

1990 წლის ოქტომბერში, ბორჯომში, პრეტენდენტთა ტურნირი დამთავრდა, ბევრმა პირველად გაიცნო ჩინელი დიდოსტატი სე ჯუნი, რომელმაც პირველი-მეორე ადგილები გაიყო იუგოსლაველ დიდოსტატ ალისა მარიჩთან ერთად. სპეციალისტებმა მაშინვე აღიარეს იგი ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად. წლეულს გაზაფხულზე მან მოუგო მარიჩს დამატებითი მიკრო-მატჩი და მაია ჩიბურდანიძის გვირგვინის მოცილე შეიქნა.

მახსოვს, ბორჯომიდან დაბრუნებულს, მაიამ მითხრა:

— ჩინელ დიდოსტატს არ ვიცნობ. ბევრს ვერაფერს ვიტყვი. უთუოდ ნიჭიერია, მზარდი. ჩანს, მახვილი ტაქტიკოსის თვალი აქვს. მასთან ბრძოლა ადვილი არ იქნება. საჭიროა საგულდაგულოდ მომზადება.

მაიაც ჩვეული პასუხისმგებლობით მოეკიდა მეცადინეობას. თავის ძირითად მწვრთნელს ლუგანსკელ დიდოსტატ გენადი კუზმინს მეორე მწვრთნელად შეუამხანაგა კრასნოდარელი დიდოსტატი ვიტალი ცეშკოვსკი (1988 წლის მატჩში იგი ნანა იოსელიანს ეხმარებოდა). შემუშავებული გეგმის მიხედვით მაია ვარჯიშობდა ჯერ ჩეხეთსლოვაკეთში (აგარაკ კარლოვი ვარში), მერე ქობულეთში. პარალელურად მონაწილეობა მიიღო ბილის (შვეიცარია) საჭადრაკო ფესტივალში და ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირში.

ჩვენს ჩემპიონს ჭეშმარიტად დიდი ნიჭის და მებრძოლი სულის მეტოქე ჰყავს. 30 ოქტომბერს სე ჯუნს 21 წელი შეუსრულდება. მართალია, მას არა აქვს, როგორც მაიას, დიდი მატჩების თამაშის გამოცდილება, მაგრამ იგრძნობა მისი შესაშური მოთმინება, გამარჯვების საოცარი რწმენა. და სარბიელზე მოღვაწეობის სამიოდე წლის მანძილზე სე ჯუნი დაეუფლა ჭადრაკის ბევრ საიდუმლოს. იგი ლაღად, ძალდაუტანებლად თამაშობს. აქვს კარგად დამუშავებული სადებიუტო რეპერტუარი. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მასარ აშინებს ავტორიტეტები. სჯერა თავისი „ვარსკვლავისა". ასეთი მოჭადრაკე ბოლომდე იბრძოლებს ტახტისთვის.

აქვე ვიტყვით: მეტოქეებმა ურთიერთობა 16 პარტიაში უნდა გაარკვიონ. ყაიმის (8:8) შემთხვევაში მაია მსოფლიო ჩემპიონად დარჩება. ჩინელმა დიდოსტატმა აუცილებლად უნდა მოიგოს (დააგროვოს 8,5 ან 9 ქულა), ჩემპიონი რომ გახდეს. კვირაში სამი პარტია გათამაშდება. ფილიპინების ჭადრაკის ფედერაციამ დასაჯილდოებლად 100 ათასი დოლარი გამოყო (გამარჯვებული მიიღებს 67,5 ათას დოლარს, დამარცხებული — 32,5 ათას დოლარს).

თქმა არ უნდა, ორთაბრძოლა მანილაში საზოგადოებრიობის დიდ ყურადღებას მიიქცევს. მსგავსი შეხვედრა პირველად ეწყობა აზიაში. მანილაში საასპარეზოდ დიდოსტატები მიიწვია ამ ქვეყნის მკვიდრმა, ფიდე-ს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა. ეს მოხდა მაშინ, როცა მატჩის მასპინძელი არავინ აღმოჩნდა, ხოლო მაიამ და სე ჯუნმა უარი თქვეს მატჩის „გახლეჩაზე" — პირველი ნახევარი (8 პარტია) ეთამაშათ პეკინში, მეორე (8 პარტია) — თბილისში. რა დასამალია, ჩვენი ჩემპიონისთვის ადვილი არ იქნება თამაში უცხო გარემოში, სადაც განსხვავებულია ჰავა, გულშემატკივრების უმრავლესობა კი, მთლიანად თუ არა, სე ჯუნის ტომის არიან.

ჩვენ არ მოგვეპოვება ინფორმაცია, როგორ ემზადებოდა ჩინელი მოჭადრაკე



სე ჯუნი (ჩინეთი)
დაიბადა 30.10.1970. საერთაშორისო დიდოსტატი (1990), ჩინეთის ჩემპიონი (1985-90). პეკინის სპორტული კოლეჯის სტუდენტი.

ორთაბრძოლისთვის. რასაკვირველია, არც ის დააკლებდა ცდას მთელი ხიგრძესიგანით „ამოეკითხა" ჩემპიონის თამაშის ავ-კარგი, მოეძებნა მისი „აქილევსის ქუსლი".

ერთი სიტყვით, შეხვედრა შორეულ მანილაში უაღრესად მძაფრ და მღელვარე ორთაჭიდილს გვპირდება. გვინდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ჩემპიონის უპირატესობა (მდიდარი გამოცდილება, ერუდიცია) თავისას გაიტანს და ჭადრაკის დედოფლის გვირგვინი შინ დაგვიბრუნდება.

ვუსურვოთ მაიას ახალი სასახელო გამარჯვება!

თენგიზ გიორგაძე

## აქეთური, იქითური...

იუგოსლავიურმა გაზეთმა „სპორტმა" გამოაქვეყნა მსოფლიოს ყველა დროის უმდიდრესი სპორტსმენების სია. პირველია პროფესიონალი მოკრივე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მძიმეწონოსანი მაიკ ტაისონი. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მან რინგზე გამოიმუშავა 91 მილიონი დოლარი. გარდა ამისა მან 12 მილიონი რეკლამით მიიღო. მეორე ადგილზეა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი გოლფში 61 წლის დ. ნიკოლსი, რომელსაც „საუკუნის მოთამაშეს" ეძახიან. პროფესიული კარიერის 30 წლის მანძილზე მან დაახლოებით 90 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. მდიდართა სიაში მესამეა ამერიკული ფეხბურთის 34 წლის ვარსკვლავი დ. მონტანა კლუბიდან „სან-ფრანცისკო-49". ბოლო 30 სეზონის განმავლობაში მისმა შემოსავალმა 70 მილიონი დოლარი შეადგინა.

• • •

პროფესიონალი მოკრივე, მსოფლიოს ექს ჩემპიონი მძიმე წონაში ტრევორ ბერბიკი სასამართლოს წინაშე წარდგა. მას ბრალად ედებოდა ყოფილი მენეჯერის ცემა. სასამართლომ ყოფილ მოკრივეს პირობით, თავისუფლების ექვსი თვით აღკვეთა მიუსაჯა, არადა, მუხლი 17 წლით პატიმრობას ითვალისწინებდა.

• • •

28 წლის რუმინელმა ხუთჭიდელმა ბოგდან ვლადუმ შინ დაბრუნებაზე უარი განაცხადა. თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე (ჩემპიონატი აშშ-ში მიმდინარეობდა) მან პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. როგორც თავად სპორტსმენმა განაცხადა, მან ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ რუმინეთში მიიღო და მშობლებიც ყაბულს იყვნენ. მას იმედი აქვს, რომ აშშ-ში სამსახურსაც იშოვნის, შეჯიბრებებზეც გამოვა და ერთ-ერთ უნივერსიტეტში ქიმიურ ფაკულტეტზეც განაგრძობს სწავლას.

• • •

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გერმანელმა წევრმა, ვალტერ ტრეგერმა სოკ-ის წევრებს მოუწოდა ცნონ ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები, რათა ამ ქვეყნების სპორტსმენებმა შეძლონ დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა 1992 წლის ალბერვილის და ბარსელონის ოლიმპიადებზე. მისი აზრით, ასეთი გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია და სოკ-მა ეს უნდა გააკეთოს საბჭოთა კავშირში პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილების გამო, მითუმეტეს, რომ იმ რესპუბლიკათა ოლიმპიური კომიტეტები საკავშირო ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე აღიარა.

• • •

მომავალი წლიდან იაპონიაში ჩატარდება საფეხბურთო ეროვნული ჩემპიონატი პროფესიულ ლიგაში. ათი გუნდი უკვე ცნობილია. ისინი აუცილებელ პირობებს აკმაყოფილებენ და აქვთ სტადიონები, რომლებზეც მინიმუმ 15 ათასი მაყურებელი ეტევა. იაპონიის ფეხბურთის ფედერაცია დარწმუნებულია, რომ მათი ჩემპიონატის ორგანიზაცია არ იქნება ევროპის ქვეყნების პირველობებზე ნაკლები, რადგან შეჯიბრების სპონსორობა ისურვეს ისეთმა ცნობილმა ფირმებმა, როგორებიც არიან „სუმიმოტო მეტალი", „მიცუბიში", „ნისანი", „ტოიოტა", „მაზდა" და სხვა.

აქეთური, იქითური...

# მონყენილი სტადიონის სატკივარი

პრობლემებით სავსე დროში ვცხოვრობთ. შეიძლება ითქვას, რომ დადებით ემოციებს პრაქტიკულად მოკლებულნი ვართ: ეროვნულ სტადიონთან ჩავლა, ან თუ ფეხი ნაგვიცდა შესვლა და ფეხბურთზე დასწრება ამ აზრს გვიმტკიცებს და ერთგვარ ნოსტალგიას იწვევს. ამ ლამაზი სტადიონის კედლებში ჩვენ ხომ მრავალი ბედნიერი წუთი გაგვიტარებია, დღეს კი იგი თითქოს თავადაც მონყენილია.

ამ „მონყენილობაზე" სასაუბროდ შევხვდით მის დირექტორს ბატონ ვაჟა ულენტს.

ბატონო ვაჟა, ვის ექვემდებარება დღეს სტადიონი, ვინ აფინანსებს მას და საერთოდ, როგორია მისი ეკონომიკური მდგომარეობა?

— სტადიონი სახელმწიფო დოტაციაზეა, თუმცა ფორმალურად, რადგან ფონს ჩვენით გავდივართ. იგი ექვემდებარება დინამოს რესპუბლიკურ საბჭოს, რომელმაც წლევანდლიდან ცენტრთან ფინანსური ურთიერთობა გაწყვიტა. ბალანსს საბჭოს სპორტულ ცენტრს ვაბარებთ. პირადად მე აქ 1986 წლიდან ვმუშაობ და დღიდან ჩემი მოსვლისა თითეული შემოსული თუ გასული მანეთის აღრიცხვას ვაწარმოებ. ეს საშუალებას მაძლევს მუდმივად ვაანალიზო ფინანსური მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები ვეძიო. მეტად მძიმე 1990 წელი, 37,2 ათასი მანეთის პლუსით დავამთავრეთ. პლუსი გვქონდა წელს, პირველ და მეორე კვარტალშიც, მაგრამ მდგომარეობა დღითიდღე რთულდება.

— სპონსორები, მსხვილი სახელმწიფო ორგანიზაციები თუ გეხმარებიან?

— სამინისტროებმა, სავაჭრო ქსელის დაწესებულებებმა, სხვადასხვა ორგანიზაციებმა თუნდაც აბონემენტის გასაღებაში რომ შეგვიწყონ ხელი, ჩვენთვის დიდი შეღავათი იქნება. გვინდა, რომ საშუალოდ 20-25 ათასი აბონემენტი გაიყიდოს, თორემ დღეს მხოლოდ 12 ათასი ცალი გვაქვს გაყიდული. მოქმედებს დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობაც. ჩვენ კონცერტებსაც ვატარებდით. წელიწადში ორი ან სამი კარგი შემსრულებლის მოწვევა საკმარისია, მაგრამ ბევრს ჩამოსვლის ეშინია და ხალხსაც მაინცადამაინც არ ეკონცერტება. მაოცებს მოქალაქეთა დამოკიდებულებაც. მიმოვიხედოთ, ყველაფრის ფასმა მოიმატა, სტადიონის ბილეთი კი გაიაფდა. ვყიდით მხოლოდ მანეთიან ბილეთებს. ასეთ პირობებში ვერ გამიგია რატომ უჯობს ზოგიერთს ის მანეთი კონტროლიორს ჩაუდოს ჯიბეში და ბილეთი არ იყიდოს. ერთი პერიოდი იმასაც ვამბობდით, მთელი საქართველოს გულშემატკივრებმა წელიწადში თითო მანეთი რომ შესწირონ სტადიონს, ბილეთის გაყიდვა საერთოდ არ დაგვჭირდებაო. სტადიონიც და გუნდიც უზრუნველყოფილი იქნებოდა.

— თქვენს სტადიონზე ორი გუნდი, „იბერია" და „მრეტები" თამაშობს. როგორი ხელშეკრულება გაქვთ მათთან?

— ერთის მხრივ, „მრეტებთან" ხელშეკრულების დადებით საქმე გავირთულეთ. თავად განსაჯეთ, ზედმეტი სამუშაო



ვაჟა ულენტი

საათები, ზედმეტი ხარჯები. მეორეს მხრივ მორალური უფლება არ გვქონდა, ახალგაზრდა გუნდისათვის ხელი არ შეგვეწყო. მათ თავიდან გარკვეული თანხა ჩაგვირიცხეს, შემდეგ კი ხელშეკრულებით, ყოველი თამაშის შემოსავლიდან 60% გუნდს მიაქვს, 40-ს ჩვენ ვიტოვებთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი თანამშრომლები „მრეტებით" ძალიან კმაყოფილნი არიან. ის მეტად მოწესრიგებული და აკურატული გუნდია. „იბერიასთან" ხელშეკრულება კი ასეთია — შემოსავლის 70% გუნდს მიაქვს.

— ბევრი უკმაყოფილოა იმით, რომ სტადიონზე მხოლოდ ერთი კარი იღება, აღარ იბეჭდება პროგრამები.

— ბროშურები შარშანაც გამოვუშვით და წელსაც, და მიუხედავად იმისა, რომ მათი ფასი სამი მანეთიდან 90 კაპიკამდე დავწიეთ, ხალხი არ დადის და შესაბამისად ისინი არ იყიდება. რაც შეეხება პროგრამებს სამას ცალს ხომ არ დავბეჭდავთ. ქაღალდის დეფიციტიც ანგარიშგასაწევია. წელს ყველაზე ხალხმრავალ თამაშზე 1700 ბილეთი გაიყიდა. ახლა კარებზეც გეტყვით. მატჩის წინ ასე ცოტა ხალხისთვის ყველა კარის გაღება ნამდვილად არ არის საჭირო. მაშინ ყველგან კონტროლიორი უნდა დავაყენოთ და ხელფასი გადავუხადოთ. თანაც ეს ბევრი უბილეთო ადამიანის შემოსვლის საწინდარია. მატჩის შემდეგ კი სტადიონის ყველა კარი ღიაა.

— სტადიონი ალბათ რემონტსაც საჭიროებს.

— დიახ, იგი ცუდ მდგომარეობაშია, საჭიროა მისი კაპიტალური შეკეთება. მოვა დრო, როდესაც ჩვენ საერთაშორისო ასპარეზზე გავალთ, რასაც მომზადებულები უნდა შევხვდეთ, ამისათვის ბევრი რამ არის საჭირო. განათება საკმარისი არ არის, საჭიროა ელექტრო მომარაგების სისტემის სრული რეკონსტრუქცია, კაბელები ნახევრად წყალშია, რადგან თავიდანვე ცუდად იყო დაპროექტებული, გამოსაცვლელია იარუსებს შორის იზოლაცია, რათა წყალი მეორე იარუსიდან პირველში და შემდეგ სარდაფში არ ჩავიდეს, საჭიროა თანამედროვე ტაბლოები, სტადიონის რადიოფიცირების ქსელის გამოცვლა, გამოსაცვლელია ბოილერი, მოედანი თანამედროვე, ავტომატური სისტემით უნდა მოირწყას, მისახედია სათადარიგო მოედანი... ჩვენ ვიანგარიშეთ და სარემონტო სამუშაოებისათვის ეხლანდელი ფასების გათვალისწინებით 8,5 მილიონი მანეთი მოვითხოვეთ. მთავრობა ჩვენს თხოვნას გაგებით მოეკიდა. სამწუხაროდ გამწვავებულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ კვლავ შეგვიშალა ხელი. ასეთ პირობებში მე თავად ვერ გავკადნიერდები, რომ ჩვენი პრობლემების გადაწყვეტა სასწრაფოდ და კატეგორიულად მოვითხოვო. აქვე მინდა გავიხსენო პროექტის თავდაპირველი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე პატარა სახლები უნდა დანგრეულიყო, „მუშტაიდის" ბაღიც ჩვენ უნდა შემოგვერთებოდა, რაც საშუალებას მოგვცემდა იქ აგვეშენებინა გამაჯანსაღებელი კომპლექსი. სამწუხაროდ ეს გეგმა დღეს მივიწყებულია.

— ეროვნული სტადიონი იმ სტადიონებს განეკუთვნება, რომლის მოედანიც ჯერ შემოღობილი არ არის.

— მე შემიძლია მაგალითების მოყვანა, როდესაც არეულობის დროს, შემოღობილმა მოედანმა ჭყლეტა და მსხვერპლი გამოიწვია. გარდა ამისა თვალწინ გვაქვს საქართველოს ბევრი ქალაქის მაგალითი, სადაც შემოღობვამ საქმე ვერ გამოასწორა. ჩხუბი ჩხუბად რჩება, ბოთლების და ქვების სროლა გრძელდება. ბადეს წყალთხრილიც ჭირდება, ჩვენს სტადიონზე კი ამის საშუალება არ არის, რადგან მაშინ სარბენი ბილიკების გაფუჭება მოგვიწევს. მოკლედ ყველაფერი თავიდან იქნება ასაშენებელი.

— ახლა სხვა პრობლემაზე მინდა გკითხოთ. ბოლო რამდენიმე თამაშია, ჟურნალისტები გასახდელებთან მისვლისას წინააღმდეგობებს ვხვდებით. ამის შესახებ ჩვენი გაზეთი წერდა კიდეც. როგორ მოვიქცეთ?

— თქვენი გაზეთის ის ნომერი არ წამიკითხავს. საქმე კი ის გახლავთ, რომ მატჩების შემდეგ გასახდელებში შესვლის უამრავი მსურველი გამოჩნდება ხოლმე. ამასწინათ, ერთმა ნასვამმა დებოშის ატეხვაც სცადა, ამიტომ ჟურნალისტებს მინდა გთხოვოთ, რომ ჯერ ფეხბურთელებს ვაცადოთ შესვლა. ცოტა მოვიცადოთ და შემდეგ, როდესაც უცხო პირთა „არმიას" გავფანტავთ, თქვენი საშვები წარმოადგინოთ. სხვათაშორის ხშირად კორესპონდენტებსაც ახლავთ უცხოები.

— ალბათ პრესას შეუძლია თანამშრომლობის ხელი გამოგიწოდოთ.

— პრესას ბევრი რამ შეუძლია. მას შეუძლია ხალხი ერთმანეთს გადაჰკიდოს ან ერთმანეთი შეაყვაროს. თქვენ, არეულობათა მოთავეები უნდა ამხილოთ. პირადად ჩემთვის ქართული გუნდი ქართული გუნდია და სულერთია ვინ მოიგებს, მთავარია სამართლიანად მოიგოს. თამაშების დროს მე დაბლა ვზივარ და ხშირად მესმის, თუ როგორ მოუწოდებენ მწვრთნელები თავის ფეხბურთელებს, მოწინააღმდეგეს მიარტყან, ფეხი მოტეხონ: ყოველივე ამაზე ყურადღების გამახვილებაა საჭირო. პრესა ობიექტური უნდა იყოს.

ესაუბრა ილია ბაბუნაშვილი.

„სარბიელის" სპონსორია ასოციაცია „ფალავანი"

PALAVANI • ПАЛАВАНИ
ფალავანი

გამოდის პარასკეობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380096, კოსტავას ქ. №14
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ძსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 36-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), ზალვა ზალოლაშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჭულუხაძე.